## საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

## „აწარმოე საქართველოში“ დირექტორის

# ბრძანება

KA020136783973120

**№ ს-44** **22 / სექტემბერი / 2020 წ.**

## სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის 2020 წლის ეტაპის ჩატარების ვადების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის № 365 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ $12^2$ მუხლის მე-2 პუნქტის, $12^8$ მუხლისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის № 1-1/217 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში დებულების“ მე -3 მუხლის მე- 3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის 2020 წლის ეტაპის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებების/აქტივობების ვადები დანართის შესაბამისად.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში მეწარმეობის დეპარტამენტს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2).

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ დირექტორი

მიხეილ ხიდურელი

დანართი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის 2020 წლის ეტაპის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები/აქტივობები და განხორციელების ვადები

| № | განსახორციელებელი ეტაპების (ღონისძიებების/აქტივობების) ჩამონათვალი | ღონისძიებების /აქტივობების განხორციელების ვადები |
|---|---|---|
| 1 | განაცხადების (ბიზნეს იდეების) მიღება | 05.10.2020-26.10.2020 |
| 2 | განაცხადების (ბიზნეს იდეების) გადარჩევა | 05.10.2020-08.11.2020 |
| 3 | განაცხადების (ბიზნეს იდეების) ეტაპის გამარჯვებულების გამოვლენა | 08.11.2020-24.11.2020 |
| 4 | განაცხადების (ბიზნეს იდეების) ეტაპის შედეგების გასაჩივრება | 24.11.2020-26.11.2020 |
| 5 | განაცხადების (ბიზნეს იდეების) ეტაპის საჩივრების განხილვა | 24.11.2020-10.12.2020 |
| 6 | ტრენინგი პოტენციურ ბენეფიციარებთან ბიზნეს გეგმის შედგენაში | 24.11.2020-18.12.2020 |
| 7 | პროექტების (ბიზნეს გეგმები) მიღება | 01.12.2020-25.12.2020 |
| 8 | პროექტების (ბიზნეს გეგმები) შეფასება | 01.12.2020-18.01.2021 |
| 9 | გასაუბრება პოტენციურ ბენეფიციარებთან | 08.12.2020-08.02.2021 |
| 10 | დაფინანსებამდე მონიტორინგი პოტენციურ ბენეფიციარებთან | 15.02.2021-15.03.2021 |
| 11 | პროექტების (ბიზნეს გეგმები) შეფასების გასაჩივრება | 06.04.2021-08.04.2021 |
| 12 | პროექტების (ბიზნეს გეგმები) შეფასების საჩივრების განხილვა | 08.04.2021-28.04.2021 |
| 13 | ბენეფიციარებთან ხელშეკრულების გაფორმება | 07.04.2021-21.05.2021 |
| 14 | ბენეფიციარის მხრიდან თანამონაწილეობის შესრულების მონიტორინგი | 12.04.2021-30.06.2021 |
| 15 | ბენეფიციარებისათვის თანადაფინანსების თანხის ჩარიცხვა | 12.04.2021-20.07.2021 |
| 16 | თანადაფინანსების თანხის ხარჯვის მონიტორინგი | 19.05.2021-05.10.2021 |
| 17 | დამატებითი ტრენინგები | 19.04.2021-30.11.2021 |
| 18 | ბენეფიციარების საბოლოო მონიტორინგი | 20.09.2021-25.11.2021 |
| 19 | ბენეფიციარების დამატებითი მონიტორინგი | 15.02.2021-30.11.2021 |